# დღეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განიხილავს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კომკავშირული ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ფიზკულტურული მოძრაობის ჭეშმარიტი მასობრიობისა და სპორტული ოსტატობის ზრდისთვის, სპორტსმენთა პატრიოტული, კოლექტიურობის, შრომისმოყვარეობის, მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნების სულისკვეთებით აღზრდისთვის.**

საკავშირო ალკკ XV ყრილობის საანგარიშო მოხსენების რეზოლუციიდან.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

№ 222 (3199) 16 1966 წ. ნოემბერი. ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

გამოცემის 23-ე წელი


დღეს თბილისში იხსნება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ეძღვნება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებს და რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების როლს მათ წარმატებით გადაჭრაში.

ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით „ლელოს" კორესპონდენტები შეხვდნენ პლენუმის მონაწილეებს და ესაუბრენ რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის უახლოეს ამოცანებსა და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებზე.

**ვ. ქლენტი,**
„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე,

## მძლეოსნური სექტორები — სოფლად!

სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისთვის უახლოეს ხანებში უნდა გადაიჭრას სამი პრობლემა: სპორტული ბაზების მშენებლობის, სოფლის ახალგაზრდობის ფიზკულტურულ საქმიანობაში მასობრივად ჩაბმისა და სათანადო კადრების მომზადებისა. ეს პატარა საქმე როდია და მისი გახორციელებისთვის ერთნაირი პასუხისმგებლობით უნდა იბრძოდნენ როგორც ფიზკულტურული, ისე კომკავშირული მუშაკები.

„კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს სადღეისო ამოცანათაგან მთავარია, რომ ამ საზოგადოების ადგილობრივმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა წარმატებით შეასრულონ თანრიგოსანთა მომზადებისა თუ სპორტული ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობისთვის აღებული ვალდებულებები.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში თითქმის არაა სოფელი, სტადიონი რომ არ ჰქონდეს, მაგრამ ამ სტადიონებს, როგორც წესი, არც მძლეოსნური ბილიკები გააჩნიათ და არც სექტორები. ჩვენი აზრით, ეს საკითხი სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. საჭიროა ჩვენმა ახალგაზრდობამ, კომკავშირულმა აქტივმა, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებმა ფართო მოძრაობა გაშალონ სოფლად მძლეოსნური სექტორების მშენებლობის მიზნით.

სოფლის სპორტსმენთა მთავარი ძალა კომკავშირული ავანგარდია, — იგი საკმაოდ მრავალრიცხოვანი გახლავთ: 90.000 კომკავშირელი სოფლის სპორტსმენი! სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭო ტრადიციულად ატარებენ ერთობლივ ღონისძიებებს სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

დღევანდელი პლენუმი უთუოდ მნიშვნელოვან ამოცანებს დასახავს. იქნება ლაპარაკი და საქმიანი კამათი ბევრ მტკივნეულ საკითხზე, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აგვისტოს დადგენილებამ წამოჭრა.

დარწმუნებული ვართ, პლენუმი ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს კიდევ უფრო დარაზმავს და მეტ სტიმულს მისცემს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისში.

**ვ. კინკაძე,**
თბილისის ახალგაზრდობის სპორტული სკოლის დირექტორი.

## საკითხი ბევრია

ჩემი აზრით, საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, ის აფერხებს, რომ რაიონები რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს მაღალი კვალიფიკაციის იმდენ სპორტსმენს ვეღარ აწვდიან, რამდენსაც წინათ აწვდიდნენ. ამას გარდა, აუცილებელია სხვადასხვა სახეობის სექციაში და რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დონე ერთნაირად მაღალი იყოს. დასამალი როდია, რომ ერთი და იმავე მწვრთნელის მუშაობის ხარისხი ნაკრებ გუნდსა და, ვთქვათ, რომელიმე სექციაში, მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია.

ამ ბოლო წლებში იკლო მასობრივი ღონისძიებების რიცხვმა და აღარ ჩანს კომკავშირის ავანგარდული როლი ამ საქმეში. სასურველია კვლავ აღდგეს კარგი ტრადიცია. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია სპორტული დარბაზების სპეციალიზების საკითხი. სათანადოდ არ არის გამოყენებული სასკოლო დარბაზებიც.

ვგონებ, კარგა ხანია მომწიფდა სპორტული ბაზების კოოპერაციულ საწყისებზე მშენებლობის საკითხი, მით უმეტეს, რომ თაოსნობა ამ საქმეში ჩვენმა რესპუბლიკამ გამოიჩინა.

ვიმედოვნებ პლენუმი კიდევ უფრო დააკავშირებს კომკავშირს ფიზკულტურასა და სპორტთან. მეტი ყურადღება მიექცევა სპორტის ეროვნულ სახეობებს. მაგალითად, სრულიადაც არაა დამაკმაყოფილებელი ქართული ჭიდაობის განვითარების დღევანდელი დონე. ხომ ცნობილია, რომ სწორედ მისი კარგი ცოდნაა საწინდარი შემდგომი წარმატებისა ჭიდაობის საერთაშორისო სახეობებში.

**ნ. გაფრინდაშვილი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## მოჭადრაკეებს — კლუბი და ჟურნალი!

საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობის წინაშე გაისად დიდი ამოცანა დგას — წარმატებით გამოვიდეთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში. ამიტომ დღევანდელი პლენუმი ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე დროულად იმართება.

მაგრამ მარტო სპარტაკიადით როდი ამოიწურება ჩვენი ცხოვრება.

ბოლო წლებში ქართველი მოჭადრაკეები საგრძნობლად დაწინაურდნენ. საკმარისია ითქვას, რომ წლეულს ქალთა საკავშირო ჩემპიონატში 4 თბილისელი მოჭადრაკე მონაწილეობს. შემდგომი წინსვლისთვის აუცილებელია დროულად დავამთავროთ თბილისის საჭადრაკო კლუბის მშენებლობა, რომელიც, სამწუხაროდ, ძალზე ჭიანურდება, აგრეთვე, დავაარსოთ ჭადრაკის ჟურნალი. ვფიქრობ, კომკავშირელთა პლენუმი ამაზეც იმსჯელებს.

## 3 საათით ადრე

ჰავანა, 14 ნოემბერი. XVII საჭადრაკო ოლიმპიადაში სსრ კავშირ—აშშ-ს მატჩის დაწყებამდე 3 საათით ადრე დარბაზში ტევა არ იყო. მ. ტალმა 36-ე სვლაზე მოუგო რ. ბირნს. პ. ბენკო — ლ. შტეინის პარტია ყაიმით დასრულდა. რ. ფიშერ — ბ. სპასკის პარტია გადაიდო საბჭოთა დიდოსტატის უპირატესობით. დაუმთავრებელი დარჩა, აგრეთვე, ლ. პოლუგაევსკი — ლ. ევანსის შეხვედრა.

ამ დღეს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, რამაც ასეთი შედეგები მოგვცა: სსრ კავშირი — უნგრეთი 2:2 (შტეინმა წააგო ი. ბილეკთან, ხოლო ლ. ლენდიელმა — ვ. კორჩნოისთან. ტალი და ლ. საბო თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ.), აშშ — არგენტინა 3:1 (ფიშერმა მოუგო მ. ნაიდორფს), იუგოსლავია — კუბა 2,5:1,5, ბულგარეთი — ჩეხოსლოვაკია 2,5:1,5, დანია—ნორვეგია 2,5:1,5, ნორვეგია — კუბა 2,5:1,5, გდრ — ესპანეთი 3:1, რუმინეთი — ისლანდია 2:2.

### უკანასკნელ საათს

◆ ჰავანა, 15 ნოემბერი. სსრ კავშირისა და აშშ-ის მატჩში გადადებული პარტიები ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, 9 ტურის შემდეგ ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები — 26,5 ქულა. ამერიკელებს 25 ქულა აქვთ.

## გუშინ...

თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე დაიწყო ამიერკავკასიისა და სამხრეთის რკინიგზების „ლოკომოტივის" მძლეოსანთა მატჩი, რომელიც რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში კონკურსგარეშე მონაწილე თბილისელმა ზ. სარქისიანმა („სპარტაკი") პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა — 10,4. მას არც რკინიგზელები ჩამორჩნენ: 1000 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა ი. ზეინან-ოღლიმ და II პრიზიორმა ა. კორნეიჩუკმა (ორივე — თბილისი) პირველად მოიპოვეს ოსტატობა, თანაც, ზეინან-ოღლიმ საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — 2.23,4. თბილისის ქალთა გუნდმა დაამყარა „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს რეკორდი ესტაფეტაში 4×100 მ — 50,2 წამი.

საქართველოსა და უნგრეთის წყალბურთელებს კარგი ხნის მეგობრობა აქვთ. საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებში ისინი სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს. წლეულს ჩვენი წყალბურთელების მოწინავე რაზმი — თბილისის „დინამო" სტუმრად იყო უნგრეთში. თბილისელებმა ქ. სოლნოკში 4 ამხანაგური მატჩი გამართეს უნგრეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან — „დოჟასთან". 2 შეხვედრა ჩვენებმა მოიგეს, 1 წააგეს და 1 ფრედ დაამთავრეს.

ამას წინათ „დოჟა" ჩვენს დედაქალაქს ეწვია და შეჯიბრებაში ჩაება თბილისის გუნდებთან. სტუმრებმა 2 მატჩი ჩაატარეს: თბილისის „ლოკომოტივს" მოუგეს ანგარიშით 8:3, ხოლო გუშინწინ, თბილისის დინამოელებთან წააგეს — 2:4.



სურათზე: „დოჟასა" და თბილისის „დინამოს" შეხვედრის მომენტი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

**რინგზე ისევ დიდებული კასიუს...**

# ნოკაუტი მესამე რაუნდში

ჰიუსტონი (აშშ), 15 ნოემბერი. გუშინ აქ გაიმართა მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა — მოჰამედ ალისა (კასიუს კლეი) და ამერიკელ კლივლენდ უილიამსის მატჩი. უილიამსი ალის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ეცილებოდა.

ალიმ შეხვედრა ჩვეული სისწრაფით დაიწყო და პირველივე რაუნდში მეტოქეს რამდენიმე ძლიერი დარტყმით გაუმასპინძლდა. მეორე რაუნდში უილიამსი სამჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, — ალი მას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

33 წლის უილიამსისთვის ბრძოლის გაგრძელება ძალიან ძნელი გახდა, მაგრამ მან იატაკი არ გაიტეხა და... მესამე რაუნდში ისეთი დარტყმები იგემა, რომ ფეხზე წამოდგომაც კი ვერ შეძლო. ეს მოხდა 63-ე წამზე.

კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ეს იყო მოჰამედ ალის ყველაზე ლამაზი და დამაჯერებელი გამარჯვება ბოლო წლების მანძილზე. იმასაც აღნიშნავენ, რომ ბრძოლის შემდეგ ალი, რომელსაც დაღლა არ ემჩნეოდა, დიდხანს ესაუბრა ჟურნალისტებს.

მსოფლიო ჩემპიონის შემდეგი მეტოქე ამერიკელი ერნი ტერელი იქნება.

(საქ. ინფ.).

## გუშინ...

საერთაშორისო ამხანაგური მატჩების გასამართავად თბილისიდან ბათუმს ჩამოვიდნენ უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონი წყალბურთში — ცნობილი გუნდი „დოჟა" და სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — თბილისის „დინამო". უნგრელებს პირველი შეხვედრა ჰქონდათ აჭარის ნაკრებთან. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 6:2 (1:0, 1:1, 1:0, 3:1).

**ო. მურვანიძე,**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
ბათუმი.

# გული რომ გულობდეს...

დიდი სიხარულით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. სწორედ ამან გვიკარნახა გამოგვეთქვა აზრი გაგრის მოსწავლე-ახალგაზრდების სპორტული ცხოვრების შესახებ.

გაგრაში ყოველ წელიწადს 100 ათასამდე საბჭოთა მშრომელი, ბავშვი, ახალგაზრდა და უცხოელი სტუმარი ისვენებს. რაიონის ყველა სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პიონერთა ბანაკი და პანსიონატი აღჭურვილია არა თუ თანამედროვე სამკურნალო კაბინეტებით, კეთილმოწყობილი სპორტული მოედნებითაც, სადაც დამსვენებელთათვის რეგულარულად ტარდება ფიზკულტურულ-მასობრივი ღონისძიებები. ზოგიერთ სანატორიუმს დახურული საცურაო აუზიც კი აქვს.

ეს კარგია, მაგრამ როგორღაა მოსწავლე-ახალგაზრდობაში ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საქმე?

პირდაპირ უნდა ითქვას, ამ მხრივ დიდად ვერ დავიკვეხნით. ბავშვთა სპორტულ სკოლაში მხოლოდ 12 სასწავლო ჯგუფია. ეს კი, რა თქმა უნდა, საკმარისი როდია. ეს კი არა და, სკოლას დღემდე არ გააჩნია საკუთარი შენობა, დარბაზი, სპორტთამაშების მოედნები, დახურული საცურაო აუზი, წყალში სახტომი კოშკი და სპორტული ინვენტარი. კალათბურთისა და ფრენბურთის სექციის მეცადინეობები ძირითადად ძველი გაგრის პარკის პრიმიტიულ მოედნებზე მიმდინარეობს. ეს მოედნები კარგა ხანია უპატრონოდაა მიტოვებული, იქვე, პირდაპირ კი სანიმუშოდ კეთილმოწყობილი ჩოგბურთის კორტია. იქ შესვლისთვის ფულს იხდიან. ასევე მიუწვდომელია მოსწავლეებისთვის დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების სპორტმოედნებიც. უნებურად გაიფიქრებ, რომ კურორტსამმართველო მხოლოდ იმ ბაზას უფრთხილდება და უვლის, რომელიც შემოსავალს იძლევა.

გაგრის სპორტსკოლის მძლეოსნები და ფეხბურთელები ქალაქის სტადიონზე ვარჯიშობენ, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები კი ამ სტადიონზე დღემდე არ არის. იგი ძლივს ჰყოფნის მხოლოდ სპორტსკოლისა და ქალაქის ფეხბურთელთა ნაკრების წვრთნებს. ასობით ფეხბურთის მოყვარულ ბავშვს კი ისღა დარჩენია, ზღვისპირა სილაზე და ახალი გაგრის ძველ სასაფლაოზე სდიოს ბურთს.

ადრე გაგრელ სპორტსმენებს ერთი საკმაოდ დიდი ოთახი ჰქონდათ, რომელიც ქალაქის სპორტდარბაზის სახელით იყო ცნობილი. ავი იყო თუ კარგი, ყოველ შემთხვევაში, აქ ვარჯიშობდნენ მოჭიდავეები, მოკრივეები, ძალოსნები და სპორტსკოლის ნორჩი მოფარიკავეები. მაგრამ შემდეგ სპორტკავშირისა და სპორტსკოლის ხელმძღვანელობამ ეს ოთახი რატომღაც კურორტვაჭრობას გადასცა. კურორტვაჭრობამ „დარბაზი" გადააკეთა „სპორტმაღაზიად", სადაც დღემდე უმეტესად ფოტოაპარატებით, ტელევიზორებით, კაპრონისა და სეილონის ნაწარმით, ბავშვების სათამაშოებით ვაჭრობენ, სპორტულ ინვენტარს კი აქ იშვიათად წააწყდებით. თუ არის, ისიც უვარგისია (განსაკუთრებით ბურთები). სპორტულ ტანსაცმელზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია!

შეიძლება თუ არა გაგრაში ფიზიკური კულტურა და სპორტი მასობრივად განვითარდეს? გული რომ გულობდეს, რასაკვირველია, შეიძლება. ამისათვის, პირველ ყოვლისა, ნაკვეთი უნდა გამოიყოს ახალ გაგრაში და იქ სპორტული მოედნები მოეწყოს, სტადიონი, სპორტსკოლა და სპორტული დარბაზი აშენდეს. ძველ გაგრაში კი სპორტული მოედნების რიცხვი უნდა გაიზარდოს. აი, მაშინ შეიძლებოდა ახალი გაგრის მოსწავლეები მასობრივად ჩაგვება სპორტში.

ა. ფილიშვილი.

გაგრის მე-4 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

---

რაიონებში სპორტ[illegible]

**სახერე**

„სპარტაკის" რაისაბჭოს მოჭიდრაკეთა შეჯიბრებაში 12 კაცი ჩაება. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა საჩხერის საყალიბე ქვიშების მაღაროთა სამმართველოს მუშამ ქ. ხუციშვილმა. II იყო საჩხერის სატყეო მეურნეობის მეტყევე-ინჟინერი ა. ესებუა, ხოლო III — ჟურნალისტი ს. მაჭარაშვილი. გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით და სიგელებით.

ა. ანასაშვილი.

---

# წინ საკავშიროდ

თბილისში დამთავრდა პიონერთა III რესპუბლიკური თამაშები. გამოვლინდნენ გამარჯვებულნი, ისინი, ვინც არტეკში უნდა გაემგზავროს პიონერთა საკავშირო თამაშების ფინალში სასპარეზოდ.

ნორჩ ტანმოვარჯიშეთა და კალათბურთელთა ტურნირების შედეგებზე უკვე ვიუწყებოდით. ახლა თვალი გადავავლოთ, როგორ წარიმართა შეჯიბრება სპორტის დანარჩენ სახეობებში.

## მტკიცე ნების კაპიტანი

ვადიმ უზმორსკი, თბილისის 52-ე საშუალო სკოლის ნორჩ მძლეოსანთა გუნდის კაპიტანი, მტკიცე ნებისყოფის პატრონია. წლეულს, მაისში, სკოლაში მძლეოსანთა შეჯიბრება ტარდებოდა „ოლიმპიური გაზაფხულის" პროგრამით. ვადიმს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას არ აძლევდნენ, პატარა ხარო, მაგრამ იგი დაჟინებით ითხოვდა თავისას. რაღა გაეწყობოდა, — ფიზაღზრდის მასწავლებელმა და შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ვ. ქადეიშვილმა მისთვის გამონაკლისი დაუშვა. 14 წლის ბიჭმა სიმაღლეზე ხტომაში სცადა ძალა, 155 სმ-ს გადაევლო და უფროსები ჩამოიტოვა. პიონერთა რესპუბლიკურ თამაშებში კი ვადიმი 160 სმ-ზე გადახტა. კარგად გამოვიდა იგი პიონერული ოთხჭიდის სხვა სახეობებშიც (60 მ რბენა — 7,6 წამი, სიგრძეზე ხტომა — 495 სმ, ბურთის ტყორცნა — 43,70 მ) და პირად ჩათვლაში პიონერთა შორის რესპუბლიკაში უძლიერესის სახელი მოიპოვა.

კაპიტნის მაგალითს მიბაძეს 52-ე სკოლის სხვა წარმომადგენლებმაც და გუნდმა არტეკის საგზური გაინაღდა.

გოგონათა კოლექტივებიდან ეს უფლება ბათუმის მე-13 საშუალო სკოლის გუნდმა მოიპოვა. პირად ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმო ბათუმელთა კაპიტანმა ვერა ფედოსენკოვამ (60 მ რბენა — 8,6, სიმაღლეზე ხტომა — 130 სმ, სიგრძეზე ხტომა — 442 სმ, ბურთის ტყორცნა — 41,25 მ).

მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა სოფლის ნორჩ მძლეოსანთა შორის. ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატისა და მახარაძის რაიონის ცხემლისხიდის საშუალო სკოლის გუნდები. სხვათა შორის, ცხემლისხიდელები I და II რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონები არიან. ისინი ორჯერ იყვნენ არტეკში: 1962 წელს სოფლის სკოლებს შორის III, ხოლო 1964 წელს — II ადგილი დაიკავეს. ცხემლისხიდელმა გოგონებმა და ბიჭებმა გლდანელ მეტოქეებს 24 ქულით აჯობეს და არტეკის საგზური კვლავ ხელთ იგდეს. მათ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფიზაღზრდის მასწავლებელს გ. გვარჯალაძეს. პირად ჩათვლაში ყველას აჯობეს ნადეჟდა ჭანუყვაძემ (60 მ რბენა — 9,2 წამი, სიმაღლეზე ხტომა — 125 სმ, სიგრძეზე ხტომა — 481 სმ, ბურთის ტყორცნა — 45,36 მ) და ლენინგორელმა თამაზ სუხაშვილმა (60 მ რბენა—7,9 წამი, სიმაღლეზე ხტომა—150 სმ, სიგრძეზე ხტომა — 532 სმ, ბურთის ტყორცნა — 45,20 მ).

## თბილისელთა და გურჯაანელთა გამარჯვება

თბილისის 103-ე საშუალო სკოლის ფრენბურთელმა გოგონებმა პირველი დიდი წარმატება იზეიმეს შარშან, როცა დედაქალაქის ჩემპიონობა მოიპოვეს საშუალო ასაკის მოსწავლეებში. წლეულს მათ მაგალითს პიონერებმაც მიბაძეს. — პიონერთა სასახლის თასიც იგდეს ხელთ და დედაქალაქში უძლიერესთა სახელიც არ დათმეს. მერე ჯერი რესპუბლიკურ თამაშებზე მიდგა. 103-ესკოლელებმა ყველა შეხვედრა მოიგეს (თბილისის 72-ე სკოლასთან — 2:0, ქუთაისელებთან — 2:0, ბათუმელებთან — 2:0, ტყვარჩელელებთან — 2:1) და თასი დაისაკუთრეს.

ბიჭებში ყველას აჯობეს თბილისის 54-ე საშუალო სკოლის ფრენბურთელებმა, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს ბათუმელი პიონერები — 2:1.

სოფლის სკოლების გუნდებიდან არტეკის საგზურები გურჯაანელმა გოგონებმა და ბიჭებმა დაისაკუთრეს. მათ ყველა შეხვედრა მოიგეს.

## ცისფერ ბილიკებზე

ნორჩ მოცურავეთა ასპარეზობაში თავი გამოიჩინა სოხუმის მე-8 სკოლის მოსწავლემ, 11 წლის საშა ზელენსკიმ, რომელმაც 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა II თანრიგის შედეგი — 1.10,5. საშამ მეორე დღესაც იმარჯვა და ყველა ჩამოიტოვა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 1.30,2.

მაგრამ ზელენსკი ერთადერთი გამონაკლისი იყო, — დანარჩენ დისტანციებზე მხოლოდ თბილისელ სპორტსმენებს ხვდათ გამარჯვება. მაგალითად, გოგონათა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით და ზურგზე ცურვაში უძლიერესი იყო 116-ე სკოლის წარმომადგენელი ვ. კორნიენკო (1.21,1 და 1.29,9), 100 მეტრზე ბრასით ცურვაში კი გაიმარჯვა მ. დადიანმა (116-ე სკოლა) — 1.44,3. ბიჭებში ამ სახეობაში ყველას აჯობა ს. ხარებოვმა (27-ე სკოლა) — 1.35,0. მისმა თანაგუნდელმა ვ. გონჩაროვმა 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში იმარჯვა — 1.22,2, ი. ზარგარიანმა (გოგონებში) კი — 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 2.04,5. ესტაფეტა 4×50 მ ბიჭებში 27-ე სკოლის წარმომადგენლებმა მოიგეს, ხოლო გოგონებში — 116-ე სკოლის მოცურავეებმა.

გუნდურ ბრძოლაში პირველობა 27-ე (ბიჭებმა) და 116-ე (გოგონებმა) საშუალო სკოლების ნორჩმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

ვ. ბუკია.

---

## წერილები რედაქციას

# დაგვეხმარეთ!

გულისტკივილით გწერთ, მაგრამ რა გაეწყობა. რატომღაც ჩვენში, თიანეთში, ქართული ჭიდაობის განვითარებისთვის არავინ ზრუნავს. არც ერთი სექცია არ მუშაობს, მხოლოდ სკოლა-ინტერნატს აქვს ლეიბები და ისიც სადღაცაა მიჩქმალული. წვრთნის მსურველი კი ბევრია. ზოგს გამოცდილება აქვს, ადრე უვარჯიშია კიდეც. მხოლოდ ერთი მოთავე, ხელმძღვანელი გვჭირდება საქმე რომ დაიძრას.

ხომ არის ვიღაც, ვისაც რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ზრუნვა ევალება? ამისთვის ხომ მას გასამრჯელოც ეძლევა. რაღად არის ასე უყურადღებოდ მიტოვებული რაიონული ცენტრი?

დაგვეხმარეთ, იქნებ ამ წერილმა მაინც გამოაფხიზლოს თიანეთის სპორტულ ორგანიზაციათა მესვეურები.

ნ. ჯაბანაშვილი.

თიანეთი.

# თვითდინება რა ხეირს მოგვცემს?

იყო დრო, როცა კრივს ზესტაფონში დიდ პატივს სცემდნენ. სექციები ნაყოფიერად მუშაობდა რკინიგზელთა კლუბისა და ფეროშენადნობთა ქარხნის დარბაზებში. იმ ბედნიერ დროს კრივის მოყვარულებს სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობის საშუალებაც ჰქონდათ, მზადდებოდა თანრიგოსანი მოკრივეები.

ახლა კი... კრივის განვითარება თვითდინებას და ზოგიერთი აქტივისტის ენთუზიაზმსაა მინდობილი. ერთ-ერთი მათგანია ელდარ სარქისოვი, რომელიც ყოველნაირად ცდილობს ფეხზე წამოაყენოს კრივის დაცემული ავტორიტეტი. ენთუზიასტმა საწვრთნელ „ბაზად" საკუთარი ბინა გამოჰყო. იყიდა რამდენიმე წყვილი ხელთათმანი, მოაწყო რინგი, შეკრიბა ახალგაზრდები და საქმეს მიჰყო ხელი.

მაგრამ ასეთი საშუალებებით განა შეიძლება ფონს გასვლა? რაიონის სპორტის მესვეურებმა ახალგაზრდობის მონდომებასა და სურვილს ორგანიზებული ხასიათი უნდა მისცენ. და აი, მხოლოდ მაშინ აღდგება აქ კრივი თავის უფლებებში.

გ. ალექსიძე.

ზესტაფონი.

---

# დილიდან საღამომდე...





ქუთაისის „დინამოს" სტადიონზე დილიდან საღამომდე არ წყდება ახალგაზრდების წვრთნა. აქ ვარჯიშობენ ფეხბურთელები, მძლეოსნები, მსროლელები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ მძლეოსანთა მეცადინეობას, რომელსაც მწვრთნელი გ. ცხვედიანი ატარებს. სიგრძეზე ხტება მეორეთანრიგოსანი ლ. ფრუიძე; მარჯვნივ — ახალგაზრდა თანამედროვე ხუთჭიდელები სროლაში მორიგი წვრთნისას. მათ ხელმძღვანელობს ამ სახეობის ვეტერანი ლ. ადეიშვილი.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

---

# შენიშვნები ჩოგბურთზე

## ჯობს

სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება, რომელიც მოუწოდებს ჩვენს ჩოგბურთელ ქალებს (პირველ ყოვლისა, ახალგაზრდებს) გაააქტივონ თამაშის სტილი, იზრუნონ მისი მოდერნიზებისა და მსოფლიო სტანდარტის დონემდე აყვანისთვის. დადგენილება, რომელშიც ლაპარაკია ჩვენი ქალთა ჩოგბურთის ქრონიკული ჩამორჩენის შესახებ, მიმართულია მათ წინააღმდეგ, ვისაც არ სურს უღალატოს თამაშის ჩვეულ მანერას, ვინც მხოლოდ უკანა ხაზზე მოქმედებას ამჯობინებს და გაურბის მწვავე, უშეღავათო თამაშს ბადესთან. დიახ, ზოგს არ სურს შეცვალოს თამაშის ძველებური ყაიდა, თუმცა ესმის, რომ ასეთი სტილი საერთაშორისო ასპარეზობებში წარმატების არავითარ შანსს არ იძლევა.

კანონზომიერია თუ არა საკითხის ასე დასმა? ხომ არ წარმოადგენს იგი სპორტში ერთგვარი „იძულებითი" გადაწყვეტილების მაგალითს, ხომ არ არის საჭირო საბოლოო სიტყვა მივცეთ, თუ შეიძლება ითქვას, ბუნებრივ შერჩევას, რაც, გალინა ბაკშეევას მაგალითისამებრ, თავისთავად წამოსწევდა მთავარ როლებში თანამედროვე, შემტევი სტილის ჩოგბურთელ ქალებს?

ყველა ამ კითხვას მე ასე ვუპასუხებდი: თუ მაინცდამაინც, ფედერაციის ამ გადაწყვეტილების გამო ერთადერთი საყვედური გვეთქმის, იგი, სულ ცოტა, ერთი წლის წინ უნდა მიგეღოთ. იმიტომ, რომ ჩვენი ქალთა ჩოგბურთის საგანგაშო მდგომარეობა ჯერ კიდევ 1955 წელს, ხარკოვის საკავშირო ჩემპიონატმა ცხადყო.

როგორც ცნობილია, მაშინ III ადგილი დაიკავა ახალგაზრდა ესტონელმა ჩოგბურთელმა ტიიუ კივიმ. მერვედფინალში იგი შეხვდა ვივიტა სატიკას, ძალიან პასიური სტილის ჩოგბურთელს, რომელიც ქულის გათამაშებისას მხოლოდ ერთ მიზანს ისახავს — ბურთი მეტოქის მხარეს გადააგდოს. კივი თამაშის კლასით მთელი თავით მაღლა დგას სატიკაზე, მაგრამ ფრენიდან და თავს ზევით დარტყმისას გაუბედავად მოქმედებს, ასეთი დარტყმა კი უებარი წამალია ე. წ. „რხევის" სტილის წინააღმდეგ. ამის შედეგად, სატიკამ პირველი პარტია მოიგო (6:1), მეორეშიც დაწინაურდა (5:2) და კივი მხოლოდ სასწაულმა იხსნა მარცხისაგან.

შემტევი სტილის თამაშთან უმძრახად გახლდათ ტიიუ სოომეც (ახლა სიმსონი), რომელმაც I ადგილი დაიკავა. და ამიტომ ტურნირში მისი გამარჯვება ყველაზე ნათლად ღაღადებდა ქალთა ჩოგბურთის არასახარბიელო მდგომარეობაზე. ანდა, ალევტინა ილინასა და 16 წლის ოლია მოროზოვას მატჩი გავიხსენოთ. უფროსების ე. წ. „რხევით" გატაცებამ მოროზოვაზე ისე იმოქმედა, რომ გოგონამ ამ შეხვედრაში სრულიად უარყო მისთვის დამახასიათებელი აგრესიული სტილი. ერთ-ერთი ქულის გათამაშებისას ბურთმა ბადეს 130-ჯერ გადაუფრინა!

თავს ნებას მივცემ მოვიყვანო ჩემივე სიტყვები, რასაც ხარკოვის ჩემპიონატის შემდეგ ვწერდი ახალი ამბების სააგენტოს სპორტულ მაცნეში:

„მივიღეთ თავისებური პარადოქსი: ჩოგბურთის ვეტერან ქალთა ახალგაზრდა ცვლამ (კივი ოცდაორი წლისაა, სოომე — ოცდაერთის), დაახლოებით იგივე სტილი მოიტანა, რისთვისაც ამავე ვეტერანებს არაერთხელ უსაყვედურა ჩოგბურთის ფედერაციამ... იმის გამო, რომ პასიურმა თამაშმა ძლიერი ჩოგბურთელებიც კი გაიტაცა, ჩვენ ზოგიერთ მწვრთნელსა და ფედერაციას უნდა ვუსაყვედუროთ. სწორედ ესენი უნდა დაუფიქრდნენ რა გზას ადგას ჩვენი ქალთა ჩოგბურთი".

ამას ვწერ ერთადერთი მიზნით. მინდა გითხრათ, რომ ქალთა ჩოგბურთის არასასიკეთო სურათი კარგა ხანია ცხადია. მაგრამ თუ ეს კიდევ ერთ დადასტურებას საჭიროებდა, იგი მივიღეთ ბოლოს, ალმა-ათის ჩემპიონატში (უკვე ფედერაციის გადაწყვეტილების შემდეგ).

იგივე კივი შეხვდა ესტონეთის ჩემპიონს კიარმასს, რომელმაც თითქოს სატიკასგან მიიღო ესტაფეტა. კვლავ აშკარად პასიური, მაგრამ „ამტანი" სტილი, კივის კვლავ ვერ გამოუდის თავსზევიდან დარტყმები, კვლავ აგებს პირველ პარტიას და მხოლოდ ძალების დიდი დაძაბვით აჯერხებს საბოლოო გამარჯვებას. ახლა,

# დუბლიორთა გათამაშების ცხრილი

„ლელო“ I ჯგუფი

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მდგომარეობა 15 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 34 | 14 | 15 | 5 | 45—27 | 43 |
| „დინამო“ (მინსკი) | 35 | 16 | 11 | 8 | 47—35 | 43 |
| „დინამო“ (თბილისი) | 33 | 15 | 11 | 7 | 47—32 | 41 |
| „დინამო“ (კიევი) | 29 | 17 | 6 | 6 | 55—32 | 40 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 35 | 15 | 10 | 10 | 54—44 | 40 |
| ცსკა | 33 | 14 | 11 | 8 | 36—32 | 39 |
| „არარატი“ (ერევანი) | 34 | 13 | 12 | 9 | 53—45 | 38 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 34 | 13 | 12 | 9 | 43—41 | 38 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 34 | 11 | 11 | 12 | 33—36 | 33 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 34 | 10 | 12 | 12 | 40—39 | 32 |
| ასკ (როსტოვი) | 35 | 9 | 14 | 12 | 40—46 | 32 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 33 | 12 | 6 | 15 | 36—40 | 30 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 35 | 10 | 10 | 15 | 36—52 | 30 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 33 | 7 | 14 | 12 | 38—36 | 28 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 32 | 8 | 12 | 12 | 33—35 | 28 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 34 | 8 | 12 | 14 | 29—44 | 28 |
| ასკ (ოდესა) | 33 | 8 | 11 | 14 | 25—30 | 27 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 36 | 8 | 11 | 17 | 40—57 | 27 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 33 | 10 | 3 | 20 | 39—59 | 23 |



სურათზე: საქართველოს ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, ქუთაისელი ჯულიეტა ჩუბინიძე („სპარტაკი“) ასპარეზობისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ტრადიციის აღდგენა

ბაქოში, 17 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე, აზერბაიჯანის ჭადრაკის ფედერაციის თაოსნობით გაიმართება ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა არაოფიციალური პირველობა. ეს იქნება მივიწყებული ტრადიციის აღდგენა.

ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა I ჩემპიონატი მოეწყო 1928 წელს. მასში 16 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ყველას აჯობეს თ. ილინ-ჟენევსკიმ (ლენინგრადი) და ა. მაკოგონოვმა (ბაქო) — 12-12 ქულა. ლენინგრადელი კონკურსგარეშე თამაშობდა.

II პირველობა, რომელშიც 14 მოთამაშე ჩაება, 1931 წელს შედგა. I ადგილი წილად ხვდა ვ. გოგლიძეს — 11,5 ქულა. III ჩემპიონატი 2 წლის შემდეგ გაიმართა. საპრიზო ადგილები თბილისელ მოჭადრაკეებში განაწილდა: I. ნ. სოროკინი (8,5 ქულა 10-დან), II. ჰ. კასპარიანი (7,5), III. ვ. გოგლიძე (7). 1935 წელს, IV პირველობაში 14 კაცმა მიიღო მონაწილეობა. აი, მისი შედეგებიც: I. ჰ. კასპარიანი (10,5), II. ა. ებრალიძე (10), III. რ. აბრამიანი (9). მხოლოდ 13 წლის შემდეგ, 1948 წელს შეიკრიბენ სასაპარეზოდ ამიერკავკასიის მოჭადრაკეები. ბრძოლა დასრულდა ვ. მაკოგონოვის გამარჯვებით. II ადგილი დაისაკუთრა ტ. პეტროსიანმა, III — ა. ებრალიძემ.

და აი, ახლა ბაქოში აზერბაიჯანელი მოჭადრაკეები უმასპინძლებენ საქართველოსა და სომხეთის კოლეგებს. ტურნირში მხოლოდ ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები ითამაშებენ, რათა კანდიდატებს ოსტატობის ნორმის შესრულების შესაძლებლობა ჰქონდეთ.

საქართველოს მოჭადრაკეები კარგა ხანია ემზადებიან ამ საინტერესო ტურნირისთვის. ჭადრაკის ფედერაციამ საგანგებოდ ჩაატარა ქალაქის უძლიერეს ოსტატობის კანდიდატთა შესარჩევი შეჯიბრება, რომელიც გ. მაჭავარიანის გამარჯვებით დასრულდა. მეორე საგზური ფედერაციამ პერსონალურად დაუთმო ოსტატობის კანდიდატს, 18 წლის თ. გიორგაძეს, რომელიც ბოლო წლებში წარმატებით თამაშობს ჭაბუკთა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ტურნირში მიწვეულია 5 თბილისელი ოსტატი — მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, საქართველოს ჩემპიონი რ. ჯინჯიხაშვილი, თბილისის ჩემპიონი ი. ჩიქოვანი, თ. ლომაია და ა. ბოკუჩავა, რომლებიც ახლა შეჯიბრებებიდან თავისუფალი არიან.

თ. ნინოშვილი.

# ბრინჯაოს მორკინალთა გამოცანა

1943 წელს ტელ-აგრაში (ერაყი) არქეოლოგებმა საინტერესო ნივთი იპოვეს. შუმერთა უძველესი ტაძრის ნანგრევებში აღმოჩნდა თასი, რომელსაც საყრდენად ორი მორკინლის გამოსახულება აქვს. მოჭიდავეები ქამარში ჩაფრენიან ერთმანეთს. კომპოზიცია აღსავსეა სიცოცხლით, დინამიურობით. ამ თასმა 6 ათასი წელი დაჰყო მიწაში!

თბილისის 72-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი კარლო კოღუა დიდი ხანია დაინტერესდა ძველი კავკასიით. ერთხელ მას ხელში ჩაუვარდა ასიროლოგიისა და აღმოსავლეთის არქეოლოგიის ფრანგული ცნობარი, სადაც დაბეჭდილი იყო გ. ოფნერის სტატია სწორედ ამ შუმერულ თასზე. სტატიას ახლდა სურათიც. უცხოელი მკვლევარის აზრით, თასზე გამოსახულია ილეთი, რაც შემდგომში ფრანგულ ჭიდაობას დაედო საფუძვლად. მაგრამ ოფნერმა ვერ ახსნა, სახელდობრ, რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა ქამრებს.

— ეს ხომ ჩვენი ჭიდაობაა! — გაუელვა კოღუას. იგი თავადაც გატაცებული მოჭიდავე იყო და გააოცა ილეთების მსგავსებამ. ფიქრობდა, — როგორც ჩანს, ჩვენს ჭიდაობას შუმერ მორკინალთა ტექნიკა წმინდად შემოუნახავსო.

მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ პირველი შთაბეჭდილება გახლდათ. ბრინჯაოს გამოსახულების გამოცანამ აიძულა ახალგაზრდა ენთუზიასტი ახლა შუმერულ ენას ჩასჯდომოდა. მასალა ამ უძველესი ენის შესახებ ძნელი მისაკვლევი აღმოჩნდა. ჯერ დაიმერის უნიკალური შუმერულ-გერმანული ლექსიკონი მოიშველია და ქართულად თარგმნიდა. ახლა კოღუას უკვე 20 ათასი სიტყვა აქვს ნათარგმნი და სწორედ ეს სიტყვებია პირველი გზა მისი ვარაუდის პასუხის კვლევისა.

მოულოდნელად გაირკვა, რომ შუმერებსა და ქართველებს საერთო სიტყვები ჰქონიათ ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილის, ჭიდაობის აქსესუარისა და ხერხების აღსანიშნავად. ერთიმეორეს სავსებით ემთხვევა ამ სიტყვების მნიშვნელობაცა და ჟღერადობაც. კოღუამ ბევრ სპეციალისტს აჩვენა ბრინჯაოს მორკინალთა გამოსახულების სურათი და ყველამ ერთხმად განაცხადა: ეს ქართული ჭიდაობის საწყისი დგომიაო.

არქეოლოგებს საქართველოს ტერიტორიაზე ბევრგან უპოვიათ ფიგურები თავზე შემოდგმული დოქებითა და წელი ქამრებით. ეს ნივთები ბრინჯაოს გვიან და რკინის ადრეულ ეპოქებს მიეკუთვნება (XV-XIV ს. ჩ. წ-მდე).

ბრინჯაოს მორკინალთა გამოცანა თითქოს არ იყო ძნელი ამოსახსნელი. ცხადი იყო, რომ ეს გახლდათ ერთ-ერთი უძველესი გამოსახულება მოჭიდავეებისა, რომ შუმერული და ქართული ენების თანხვევა და საქართველოს არქეოლოგიური მონაპოვრები მოწმობდნენ ქართული ჭიდაობის შუმერულიდან წარმომავლობას.

მაგრამ ახალგაზრდა მკვლევარი დააინტერესა ერთმანეთს შეერთებულმა დოქებმაც, რომლებიც თავზე ადგა ბრინჯაოს მოჭიდავეებს. მან ისიც გაიგო, რომ დოქს შუმერულ და ქართულ ენაზე ერთი სახელი აქვს.

და აი, ახალი აღმოჩენა: ორი ერთიმეორეს გადაჭდობილი ჭურჭელი ხომ სიმბოლოა ნაყოფიერებისა. ნაყოფიერების კულტს კი უძველესი დროიდან სცემდნენ თაყვანს ჩვენი წინაპრები. უძველესი დროიდანვე ჩვენში ჭიდაობა იყო აუცილებელი რიტუალი რელიგიური დღესასწაულებისა. მაგალითად, თელეთობის, ალავერდობისა და სხვათა. ასე მიგვაგნებინა ბრინჯაოს პატარა გამოსახულებამ ქართული ჭიდაობის სათავეებს.

... ჭიდაობას საქართველოში უთვალავი მოყვარული ჰყავს და არავის უკვირს, რომ სარბიელზე გამოცდილი ოსტატების მხარდამხარ ხშირად გამოდის ხალხი, რომელსაც არავითარი საგანგებო სპორტული მომზადება არა აქვს. ჭიდაობა ნაწილია ჩვენი ხალხის ყოველდღიური ყოფისა და სწორედ ამიტომაა, რომ ოდითგანვე გაუთქვამთ სახელი ქართველ მორკინალთ. არსენ მეკოკიშვილი, ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია, როსტომ აბაშიძე, ვლადიმერ რუბაშვილი, ანზორ კიკნაძე და ათობით სხვა ცნობილი ოსტატი ხომ დედის რძესთან ეზიარა სიყვარულს ჭიდაობისა, რომლის ტრადიციაც აგრერიგად მძლავრია ჩვენს ხალხში.

ნ. შულცი,
გ. ჯანიშვილი.

# „იშლიკი“ — ეს სიჭაბუკეა

ტაშკენტი, 12 ნოემბერი. მეწამული მაიოლიკა, ლაჟვარდისფერი ქიქური, რუხი მარმარილო, რამდენიმე ნათელი ზოლი და წახნაგი კიდევ უფრო გამოკვეთს ვეება შენობის სიმკაცრესა და სიმსუბუქეს. სულ ახლახან „პახტაკორის“ სტადიონის გვერდით აღიმართა მძლეოსნური მანეჟი, რომელსაც სახელად „იშლიკი“ (სიჭაბუკე) ჰქვია. იგი პირველი ჩორცმესხმაა „სოიუზსპორტპროექტის“ ერთ-ერთი ტიპიური პროექტისა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ტაშკენტელმა სპეციალისტებმა — არქიტექტორმა ნ. მურავიოვმა, ინჟინრებმა ე. ოსადჩიმ და მ. შენკერმა ტიპიურ პროექტში არსებითი შესწორებები შეიტანეს. მაგრამ ეს შესწორებები იმდენად მიზანშეწონილია, რომ, ალბათ, მალე თავადაც ტიპიური გახდება.

თუმცა, ცვლილებებზე შემდეგ. ჯერ კი თავდაპირველ ცნობებს მოგაწვდით. მანეჟის სიგრძე 126 მეტრია, სიგანე — 30. კედლებს გასწვრივ 200-მეტრიანი სარბენი ბილიკი ჩასდევს... შესწორებები აქ იწყება. სარბენი ბილიკი რეზინისაა, ბეტონის ვირაჟებსაც რეზინისავე კვადრატები აკრავს — მრეწველობის საჩუქარი სპორტს! როგორც ჩანს, ეს იქნება მტკიცე და „სწრაფი“ ბილიკი. იაფიც ჯდება. მისი მოვლა გაცილებით იოლია.

მანეჟი მოემსახურება არა მხოლოდ მძლეოსნებს. მისი ბილიკები, მოედნები, ფიცარნაგები მალე მიიღებს პირველ ტანმოვარჯიშეებს, მოკრივეებს, მოჭიდავეებს, მოფარიკავეებს, ფრენბურთელებს, კალათბურთელებს, ძალოსნებს და, რასაკვირველია, მაყურებლებს. აქ კიდევ ერთი გადახვევა ტიპიური პროექტიდან, რომლის მიხედვითაც მანეჟი მხოლოდ საწვრთნელი ვარჯიშებისთვის იყო დაგეგმილი: გულშემატკივრებს უკვე 3.000 ადგილი ეკუთვნით, მაგრამ, როცა დამატებით მოწყობილობას მიიღებენ, ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება.

მანეჟის ფიცარნაგები სცენადაც გამოდგება, რინგადაც, თამაშების მოედნადაც. 2-3 საათში შეიძლება დაიდგას და მოიხსნას ტრიბუნები. კიდევ ერთი შესწორება: უკეთ მოეწყო განათება; შეუკვეთეს რადიოაპარატურა, რათა არც ერთი ბგერა არ დაიკარგოს. 15-ჯერ მძლავრი იქნება ვენტილაცია. უზარმაზარ დარბაზში ჰაერი ერთ საათში სავსებით შეიძლება გაიწმინდოს.

ტაშკენტის მანეჟის მშენებლობის გამოცდილება ბევრი ქალაქის მშენებლებს გამოადგებათ. მათ თავისებურად უნდა გამოიყენონ ოსტატობა უზბეკი სპეციალისტებისა, რომლებმაც სპორტული ნაგებობა სტანდარტული კოლონებით, პანელებით, სახურავებით, კოჭებითა და წამწევებით შექმნეს. ჩვეულებრივ ხომ ამ მასალას სამრეწველო შენობებისთვის იყენებენ. ყველაფერი ეს სპორტმშენებლობას მიაწოდა ტაშკენტის ასაწყობი რკინა-ბეტონის ქარხანამ. შენობა, რომელიც 9-ბალიან მიწისძვრას გაუძლებს, ააგეს ტაშკენტის № 159 ტრესტის ინჟინრებმა.

მანეჟი მალე უმასპინძლებს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ტანმოვარჯიშეებს.

# გვიან...

როგორ გავიდა ფინალში რენა აბჟანდაძე? მის მტკიცე ნებისყოფას, შრომისმოყვარეობასა და ამტანობას დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ აბჟანდაძის თამაშის სტილი საკავშირო ჩემპიონატის ფინალისთვის შეუფერებელია.

იქნებ შემომედავონ, თუ აქტიური თამაში კარგია, ხოლო პასიური ცუდი, საგანგებო გადაწყვეტილება რა საჭიროაო? განა თანამედროვე სტილით მოთამაშე ჩოგბურთელები ისედაც არ უნდა ამარცხებდნენ მათ, ვინც მოძველებულ ყაიდას ვერ თმობსო?

ერთი შეხედვით, თითქოს დიდი მნიშვნელობის საკითხია. ყველამ იცის, მაგალითად, რომ დილის გამამხნევებელი ვარჯიში სასარგებლოა, მაგრამ ყველა როდი მისდევს მას. კიარმასმაც, აბჟანდაძემაც, კივიმაც და სიმსონმაც მშვენივრად იციან, რომ თამაშის თანამედროვე სტილის აუთვისებლად ისინი რაიმე მოკრძალებული შედეგის, ან შემთხვევითი წარმატების მეტს ვერაფერს მიაღწევენ. იციან, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ კივი ცდილობს დაეუფლოს ახლებურად თამაშს.

ზოგიერთი ამტკიცებს, ფედერაციას ეს გადაწყვეტილება არ უნდა მიეღოო. ამბობენ, კიარმასის ტიპის ჩოგბურთელებსაც მოაქვთ სარგებლობა, ვინაიდან სწორედ ისინი აიძულებენ მეტოქეებს უფრო მეტად დახვეწონ და გაამწვავონ თამაშიო. სწორია. მართლაც, ქარიყლაპია ღმერთს იმისთვის გაუჩენია, რომ კარჩხანა ფხიზლად იყოს. მაგრამ განა ფედერაციის გადაწყვეტილება კიარმასს ავალებს უთუოდ წააგეო? ამ გადაწყვეტილების მიზანია დაეხმაროს ჩოგბურთელ ქალებს და, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდებს, თამაშის ახლებური სტილის ათვისებაში, იმ სტილისა, რომლითაც კიარმასსაც იოლად მოუგებენ.

თუ მართალი გნებავთ, მძლავრი, თანამედროვე მანერით მოთამაშე ჩოგბურთელ ქალებს პასიური სტილი არ უნდა აშინებდეთ. საკმარისი იყო გენახათ ალმა-ათის ჩემპიონატის ფინალური მატჩი. ბაკშეევას იოლი გამარჯვება აბჟანდაძესთან განა მხოლოდ კიეველი ჩოგბურთელის იშვიათი ტალანტით აიხსნებოდა? არა, — თამაშის დღევანდელმა სტილმა მოუგო გუშინდელს.

ფედერაციის გადაწყვეტილება სულაც არ ბღალავს პასიური სტილით მოთამაშეთა სპორტულ უფლებებს, არც კი ეხება მათ. ესტონელი კიარმასი და მოსკოველი ასპისოვა, მაგალითად, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული სპორტსმენები არიან და მათი თამაშის ყაიდას ახლა ძნელადღა შეცვლი. გადაწყვეტილება მიმართულია მწვრთნელებისა და ახალგაზრდა ჩოგბურთელებისადმი, რომლებიც ეს-ესაა იმუშავებენ საკუთარ სტილსა და თამაშის ხელწერას.

აქ არ ჩამოვთვლი ყველა წამახალისებელ და დამსჯელ ზომას, რაც ფედერაციამ მიიღო. ძირითადად ყველა ეს გადაწყვეტილება სწორია. განა მცდარია, ვთქვათ, ის აზრი, რომ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისთვის კანდიდატების შერჩევისას უპირატესობა თანამედროვე სტილით მოთამაშე ჩოგბურთელ ქალებს უნდა ეძლეოდეს? ანდა რითაა ცუდი, რომ ტურნირებში აქტიური თამაშისთვის სპორტსმენი სპეციალური პრიზებით წახალისდეს? ვფიქრობ, გადაწყდა სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭოს მხოლოდ იმ ჩოგბურთელ ქალებს, რომლებიც თანამედროვე აგრესიული სტილით თამაშობენ. არც ეს აზრია ურიგო. თუ ოსტატობაა, ოსტატობა იყოს! და მაინც საეჭვოდ გვეჩვენება ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოთხოვნა: რომ მოწოდების შემდეგ სპორტსმენი ორჯერ მაინც უნდა გავიდეს ბადესთან (ლაპარაკია ჩოგბურთელ გოგონათა შეჯიბრებებზე).

ეს მოთხოვნა შეიძლება გონივრულია, მაგრამ ჩოგბურთის წესებს, ე. ი. ამ თამაშის აზრსა და დედაარსს ეწინააღმდეგება. თუ სპორტსმენმა ბადესთან გაუსვლელად მოიგო საჭირო ქულები? ესე იგი მან გეიმი წააგო?

ვფიქრობ, პრაქტიკა არ გაამართლებს ამ ზომას, რომელსაც ბრძანების ხასიათი აქვს. ჩოგბურთელი ქალები ბრძანებითა და იძულებით როდი უნდა გაგვყავდეს ბადესთან. უფრო გონივრულია შევუქმნათ მათ საამისო პირობები, რომ თავად შეიგნონ აქტიური თამაშის უპირატესობა.

მაშ ასე: ფედერაციის გადაწყვეტილება, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიღებულია, მწვრთნელები და ახალგაზრდა ჩოგბურთელი ქალები საგონებელში არიან...

ვ. ვასილიევი.

# გვიდო კოსტა ესაუბრება სპორტსმენებს

„ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოსცა ცნობილი იტალიელი მწვრთნელის გვიდო კოსტას წიგნი „რბოლა ტრეკზე", რომელიც იტალიურიდან რუსულად თარგმნა საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარემ მ. ბარამიამ.

გვიდო კოსტა სამართლიანად მიაჩნიათ თანამედროვე ველოსპორტის უდიდეს სპეციალისტად. მას ვერავინ გაუტოლდება მსოფლიო რეკორდსმენებისა და ჩემპიონების მომზადებაში. საკმარისია ითქვას, რომ 1960-1964 წლებში კოსტამ 11 ოლიმპიური და მსოფლიოს 6 ჩემპიონი აღზარდა (რომ არაფერი ვთქვათ დაახლოებით ამდენსავე პრიზიორზე).

მსოფლიოში სახელგანთქმული სპეციალისტის ბიოგრაფია ტიპიური მაგალითია კაპიტალისტურ სამყაროში მწვრთნელის დაუფასებლობისა. „ველოდრომო ოლიმპიკოზე" კოსტას აღზრდილ ველოსიპედისტთა ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, როცა ოქროს ყველა მედალი იტალიელებმა მოიპოვეს, მწვრთნელი... პოსტიდან გადადგა.

კარგა ხნის შემდეგ იტალიელი სპეციალისტი დანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. რამდენიმე თვის თავზე კი (1962 წლის მსოფლიო პირველობაში) დანიელმა კაი ერიკ ენსენმა 4 კმ-ზე გამოდევნებით რბოლაში ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა. ასეთ წარმატებას დანიის ველოსპორტის ფედერაცია 1949 წლის შემდეგ არ ღარსებია. იტალიელებმა კი იმ ტურნირში ვერც ერთი საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვეს. ეს ფაქტი თავისთავად უკვე ბევრს ნიშნავდა.

გვიდო კოსტას მხარდასაჭერად იტალიაში შეიქმნა სპეციალური მოძრაობა, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, თავისი გაიტანა და მწვრთნელი სამშობლოს დაუბრუნა. ეს მოხდა ტოკიოს ოლიმპიადის წინ. კოსტამ ენთუზიაზმით მოკიდა ხელი თანამემამულეთა წვრთნას და აი, ტოკიოში იტალიელებმა ოქროს 2 და ვერცხლის 4 მედალი დაისაკუთრეს.

ეს მცირედი ექსკურსი მკითხველს ხელს შეუწყობს გ. კოსტას აზრებისა და მეთოდების ჯეროვან შეფასებაში.

წიგნი 3 ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი („შევიდეთ ტრეკის სამყაროში") ველოსპორტის საერთო საკითხებს ეძღვნება, II ნაწილი სპორტსმენთა ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებას ეხება („შევისწავლოთ რბოლა"). III ნაწილში ლაპარაკია ველოსიპედისტთა კვებაზე, საერთო ფიზიკურ მომზადებაზე, სამედიცინო კონტროლზე, მასაჟზე, თვითმასაჟზე და სხვ.

წიგნი, რომელსაც დართული აქვს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ბახვალოვის წინასიტყვაობა, უხვადაა ილუსტრირებული და ღირს 33 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

## „ინტერმა" პირველი ქულა დაკარგა

იტალიის ჩემპიონატის VIII ტური ამ ქვეყნის ფეხბურთის ყველა დამახასიათებელი ნიშნის მატარებელი იყო — 9 შეხვედრაში 5 ფრე! გატანილ იქნა მხოლოდ 10 გოლი (შეადარეთ ინგლისის ან შოტლანდიის 20-40 გოლს ყოველ ტურში).

მილანის „ინტერნაციონალემ" შინ ფრედ ითამაშა „რომასთან" — 0 : 0.

ბოლონიაში ამავე სახელწოდების ადგილობრივმა გუნდმა მოუგო „ნაპოლის" — 1 : 0.

ტურინში ადგილობრივმა „იუვენტუსმა" გამარჯვების მოპოვება „კალიარისთან" მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლო დე პაოლის მიერ გატანილი ბურთის წყალობით—1:0.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ბრეშია" — „მილანი" 0 : 0, „ლაციო" — „სპალი" 1 : 1, „ვენეცია" — „მანტოვა" 0 : 0, „ლეკო"— „ტორინო" 0 : 0, „ფოჯა" — „ფიორენტინა" 1 : 2, „ლანეროსი" — „ატალანტა" 1 : 2.

აი, ლიდერთა ხუთეულიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერი" | 8 | 18 : 1 | 15 |
| „იუვენტუსი" | 8 | 12 : 2 | 13 |
| „ნაპოლი" | 8 | 9 : 4 | 12 |
| „კალიარი" | 8 | 11 : 1 | 11 |
| „ბოლონია" | 8 | 13 : 7 | 11 |

(საქ. ინფ.).

კვირას ჩატარდა ესპანეთის ჩემპიონატის IX ტური. ბილბაოში ადგილობრივი „ატლეტიკო" შეხვდა მადრიდის „რეალს". შესანიშნავად ითამაშა „ატლეტიკოს" მეკარე ირიბარძა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 0 : 0.

ბარსელონაში ამავე სახელწოდების ადგილობრივი გუნდი შეხვდა „სევილიას". ბარსელონელთა თავდამსხმელებმა პირდაპირ შემუსრეს სტუმართა კარი — 5:0. 2 გოლის ავტორია ფრანგი თავდამსხმელი მიულერი.

ტურის სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს თასის მფლობელის „რეალ სარაგოსას" წაგება აუტსაიდერთან — ლა-კორუნიაში ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან — 1:4.

## თასის მფლობელი მარცხდება აუტსაიდერთან

მადრიდის „ატლეტიკომ" შინ მოუგო „პონტევედრას" — 3 : 1.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „კორდოვა" — „ესპანიოლი" 2 : 0, „ერკულესი"— „ლას-პალმასი" 2:1, „საბადელი" — „ელჩე" 0 : 0, „ვალენსია" — „გრანადა" 3 : 0.

14-14 ქულით ლიდერობენ მადრიდის „რეალი" და „ვალენსია". „ესპანიოლს" 12 ქულა აქვს.

(საქ. ინფ.).



▲ ლუისვილი. მძიმე წონაში პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონმა მოჰამედ ალიმ (კასიუს კლეი) ამ დღეებში გამართულ 6-რაუნდიან მატჩში პირდაპირ შემუსრა დუგ ჯონსი. მატჩის შემოსავალი გადაირიცხა ალის სამშობლო ქალაქის — ლუისვილის ბავშვთა საავადმყოფოს ფონდში. ჩემპიონმა უარი თქვა თავის ჰონორარზე. რაც შეეხება ჯონსს, მან კონტრაქტით კუთვნილი 4 ათასი დოლარი ჩაიჯიბა.

## ერთის ნაცვლად... მთელი გუნდი

ინგლისის სპორტული ჟურნალისტების ასოციაციამ, რომელიც ყოველი წლის ბოლოს ასახელებს საუკეთესო სპორტსმენს, 1966 წლის შედეგებით ასეთად აღიარა... ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები. ასოციაციის თავმჯდომარემ ბრომლიმ განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია გამოვყოთ გუნდის კაპიტანი ბობი მური და მარტო იგი დავაჯილდოვოთ, როგორც ეს მსოფლიო ჩემპიონატში მოხდა. ჯილდო ყველამ ერთნაირად დაიმსახურა".

წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად აღიარებულ იქნა ცნობილი მოცურავე ლ. ლანდგროუ.

## არგენტინელებსაც ყიდულობენ

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთის ჩემპიონატის გახსნისთვის გრძელდება უცხოელ ფეხბურთელთა „შემოზიდვა". ათობით ემისარი იმყოფება ამჟამად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იქაურ მოთამაშეთა გადმობირებისთვის.

დღემდე ცნობილი იყო, რომ ყველაზე მეტი ფეხბურთელი აშშ-მ შეიძინა დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიაში, მაგრამ ბოლო ხანებში საქმოსნებმა სამხრეთამერიკელებსაც მიჰყვეს ხელი. პირობები იმდენად კარგია, რომ არგენტინელთა ცნობილმა ვარსკვლავებმაც კი მოისურვეს შეერთებულ შტატებში გადაბარგება. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ ა. როხასი („ბოკა ხუნიორსი"), ვ. დე ლა მატა, ე. ონეგა (ორივე — „რივერ პლეიტი"), ლ. კაპი („ვეზელ სარსფილდი"). ეს უკანასკნელი გადავიდა კიდეც ნიუ-იორკის „გალისიაში", სადაც უკვე არის ორი არგენტინელი — მ. გონსალესი და ხ. ველასკესი.



ძნელი მოსახვევი.

ფოტო თბილისის მე-10 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ა. გურასაშვილისა.

ფეხბურთი

# ახალი მეფე —ეუსებიო

**ეუსებიო და სილვა ფერეირა ექსპერტებმა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. იგი ლისაბონის „ბენფიკას" თავდასხმის ვარსკვლავია და ინგლისის ჩემპიონატის ბომბარდირთ-ბომბარდირი. ეუსებიო 500 ათას დოლარადაა შეფასებული.**

**აი, რას წერს მოზამბიკელ შავ ვარსკვლავზე მიუნჰენის „სპორტ ილიუსტრაიტში" რედაქტორი ბ. ჰარენბერგი.**

მინდორზე პელე ჩამხობილა და მარცხენა ხელით ისრესს ნატკენ მუხლს. სახე სიმწრით დაღრეცია, თავს ზანგი ფეხბურთელი ადგას, ეხმარება, აწყნარებს. ზანგს სხვა ფერის მაისური აცვია. იგი ეუსებიოა.

ეს სურათი 1966 წლის 19 ივლისსაა გადაღებული. მას რომ დახედავ, არ შეიძლება არ აღმოგხდეს: „მეფე დაემხო, გაუმარჯოს მეფეს!" მაგრამ საქმე მხოლოდ ეს სურათი როდია. 22 წლის პორტუგალიელმა „მეფის გვირგვინი" მოიპოვა თავისი იშვიათი დრიბლინგით, ბრაზილიელთა დაცვის დაჯაბნით, ზუსტი და მძლავრი დარტყმით.

საოცარია, რა ერთსულოვნად აღიარეს ინგლისის სპორტულმა ჟურნალისტებმა VIII ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად მათი ნაკრების კაპიტანი ბობი მური. ყველა სხვამ ხომ ამ ტიტულის ღირსად სწორედ ეუსებიო ცნო. ლონდონის კლუბმა „ნაიტსბრიჯმა" მას ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის თასი (9 გოლისთვის) და 3.000 დოლარიც გადასცა.

არც ისაა გასაკვირი, რომ სხვადასხვა დიდი კლუბის იმპრესარიოები ცდილობენ თავიანთ ბადეში მოაქციონ ახალგაზრდა პორტუგალიელი. არც თავად ფეხბურთელისთვის იყო ეს ახალი ამბავი. ჯერ კიდევ 1964 წელს ლაპარაკობდნენ — ეუსებიოს მილანის „ინტერნაციონალეს" მაისურის ჩაცმა მოუწევსო. საქმეში ჩაერია პელე — მისი „სანტოსი". აუქციონში მონაწილეობდა ესპანეთის რამდენიმე კლუბი. ეუსებიოს ფასმა ასობით ათას დოლარს მიაღწია.

ინგლისის ჩემპიონატის წინ გაირკვა, რომ ეუსებიო თავის კლუბში რჩება, ყოველ შემთხვევაში, ორი სეზონი მაინც. მაგრამ 1966 წლის 23 ივლისს, სსრ კავშირისა და გფრ-ის ფეხბურთელთა ნახევარფინალური მატჩის წინ, მილანის „ინტერნაციონალეს" წარმომადგენელმა სოლტიმ „უემბლის" სტადიონზე გამოაცხადა — ეუსებიომ ჩვენს კლუბთან დადო ხელშეკრულებაო. ხელშეკრულების ერთი პუნქტი ასეთია: თუ ამ ორ წელიწადში „ბენფიკასგან" გათავისუფლდა, ეუსებიო დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს მილანის კლუბში.

როგორ დაიწყო ახალი მეფის კარიერა?

ლორენცო-მარკიშის ნავსადგურის ბარის ჭურჭლის მრეცხავი, 12 წლის ეუსებიო ეზოს ფეხბურთელთა გაერთიანებაში („ოს ბრაზილიეროს") თამაშობდა და თავდამსხმელთა მეფედ ითვლებოდა. 16 წლისა მოზამბიკის ჩემპიონის „სპორტინგკლუბ დე ლორენცო მარკიშის" სათადარიგო მოთამაშე გახდა, გუნდის ძირითად შემადგენლობაში პირველივე გამოსვლისთანავე კი საუკეთესო ბომბარდირის სახელი მოიხვეჭა. ჩემპიონატის მატჩებში მის ანგარიშზე 55 გოლი მოდიოდა.

ეუსებიოს თამაშის კლასი ჯეროვნად მაინც არ არის „დაფასებული". იგი ყოველწლიურად იღებს 25 ათას დოლარს გასამრჯელოდ და, ამას გარდა, ყოველთვიურად 350 დოლარს პრემიად. იტალიური კლუბებისა და, განსაკუთრებით, ბრაზილიის ფეხბურთელების ხელფასთან ეს თითქმის არაფერია.

ეუსებიო, როგორც პელე, თავის შემოსავალს სახლებს ახმარს, ყიდულობს და თავადაც აშენებს ლისაბონსა და მშობლიურ ქალაქში. ფეხბურთს რომ აღარ ითამაშებს, ლორენცო-მარკიშში დასახლებას აპირებს.

ეუსებიო და სილვა ფერეირა თავმდაბალი ახალგაზრდაა. თავდავიწყებით უყვარს თავისი მშვენიერი ცოლი, ამბობს, მას მაშინაც ვუყვარდი, როცა არც სახელი მქონდა, არც დიდებაო.

ძალზე გატაცებულია ავტორბოლებით, თუმცა თავად მანქანის ყიდვას არ აპირებს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ბაზრობა

**ფარიკაობა.** „ბურევესტნიკის" სპორტდარბაზი (კიროვის სახ. პარკი). **16-20 ნოემბერი. საქართველოს თასის გათამაშება.** მონაწილეობენ: **აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ზესტაფონის, წულუკიძისა და რუსთავის** ნაკრები გუნდები. დასაწყისი 10 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. **18 ნოემბერი. საერთაშორისო შეხვედრა. „დინამო" (თბილისი) — „პროგრესული" (ბუქარესტი).** დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე—12868